ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე

მეოთხე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ინგა სეხნიაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

კონსტანტინე გელაშვილი – კოლეგიის წევრი

ირაკლი კორძახია – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – ადვოკატი პ. შ. /სიითი №/

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 25.05.2017

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 041/17

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ზ. პ.-ის მიმართ /სიითი №/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ზ. პ.-ისათვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2017 წლის 25 მაისს სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა ადვოკატმა პ. შ.-მ და მოითხოვა ადვოკატ ზ. პ.-ის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 ადვოკატ პ. შ.-ის განცხადებით, ბრალდებულმა მ.ღ.-მ მის კანონიერი ინტერესების დამცველ ადვოკატად ის აიყვანა და ადვოკატი ზ. პ. დაითხოვა. ამის გამო, შურისძიების ნიადაგზე, ადვოკატმა ზ. პ.-მ აჭარის ტელევიზიის საშუალებით მიაყენა შეურაცხყოფა, გაავრცელა სინამდვილესთან შეუსაბამო ცნობები, რომ პ. შ. იყო პოლიციასთან შეკრული ადვოკატი. ასევე აღნიშნავდა, რომ ადვოკატი პ. შ. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის პირველ

მოადგილესთან, ბ. ა.-თან ნათესაობის შედეგად დაინიშნა მ.ღ.-ს ადვოკატად, რათა ზეგავლენა მოეხდინა მ.ღ.-ზე და მას ბ. ა. კანონსაწინააღმდეგო ქმედებაში მონაწილედ არ დამესახელებინა.

1.3 პ. შ.-ის განმარტებით, ადვოკატი ზ. პ. შეეცადა საზოგადოებისათვის პ. შ. გაეცნო როგორც დაცვის არაჯეროვნად განმახორციელებელი, უზნეო და პოლიციასთან შეკრული ადვოკატი, რომელსაც აკლია გამბედაობა მოერიდოს იმ პირების მხილებას, რომლებსაც მის კლიენტთან მიმართებით რაიმე კუთხით ბრალი მიუძღვით.

1.4 ადვოკატ პ. შ.-ის განცხადებით, აზრადაც არ მოსვლის ის ფაქტი, რომ ეთიკის კომისიაში ეჩივლა თავისი კოლეგისათვის და ეკადრა ის, რაც ადვოკატმა ზ. პ.-მ იკადრა, მიუხედავად იმისა, რომ ზ. პ.-ის მიერ ეთერში საუბრის შემდეგ უწევს კომენტარების გაკეთება ადვოკატ ზ. პ.-ის მიერ გაკეთებულ განცხადებაზე.

2. ადვოკატ ზ. პ.-ის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა ზ. პ.-მ ეთიკის კომისიაში წერილობითი ახსნა-განმარტება წარმოადგინა 2017 წლის 15 ივნისს, სადაც განმარტა, რომ პ. შ.-ის მიერ წარმოდგენილ საჩივარში მოყვანილი ფაქტობრივი გარემოებები, გარდა მის მიერ ტელევიზიით გაკეთებული განცხადებისა, არის სიცრუე, ადვოკატ პ. შ.-ის მიერ მოგონილი და შეთხზული ინფორმაცია, რადგან თავიდან აირიდოს პასუხისმგებლობა მის მიერ ჩადენილ ამაზრზენ ქმედებაზე.

2.2 ადვოკატმა ზ. პ.-მ განმარტა, რომ ადვოკატი პ. შ. სოციალურ ქსელ ფეისბუქს ამოფარებული უფრო „გულადია“, რასაც იუმორისტი ვ. ო.-ც კი ადასტურებს.

2.3 ადვოკატ ზ. პ.-ის განცხადებით, მას სატელევიზიო განცხადება იმიტომ არ გაუკეთებია, რომ ბრალდებულმა მ.ღ-მ ადვოკატად პ. შ. აიყვანა, რადგან მისთვის არანაირი მნიშვნელობა არ ქონდა, ვინ იქნებოდა ბრალდებულის დამცველი. ის ამ საქმეში ერთ-ერთ ბრალდებულს ისედაც იცავდა, იცნობდა საქმის მასალებს და ბრალდებულ მ.ღ-ს მან წინასწარ განუმარტა, რომ საქმის ორგანიზატორობისთვის უპირებდნენ დაჭერას.

2.4 ადვოკატმა ზ. პ.-მ განმარტა, რომ ბრალდებულმა მ.ღ-მ უთხრა, რომ თუ დაიჭრედნენ მას უნდა დაეცვა. როდესაც მ.ღ. დააკავეს, მას დაურეკა და სთხოვა დაეცვა მისი ინტერესები. როგორც მ.ღ-მ მიაწოდა ინფორმაცია, მისი დაკავების შემდეგ გაძლიერდა პ. შ.-ის ხვეწნა მის საქმეზე ჩაბმის თაობაზე, რომელიც პოლიციელების მეშვეობით უთვლიდა მიეწვია დამცველად. მას პ. შ. უთვლიდა, რომ ,,მე დაგიცავ თუ დაგაკავებენ, თან ბ. ა. ჩემი ნათესავია და ამ ურთიერთობას გამოვიყენებ ჩვენს საქმეში, რომ დაგეხმაროო“.

2.5 ადვოკატ ზ. პ.-ის განმარტებით, ფაქტს, რომ ბრალდებულ მ.ღ-ს უნდოდა ზ. პ. ყოფილიყო მისი ადვოკატი, დაადასტურებს არაერთი მოწმე. ადვოკატმა ზ. პ.-მ განაცხადა, რომ მას ურთიერთობა ქონდა ბრალდებული მ.ღ-ს მეუღლესთან მა. ღ.-სთან, რომელთან ერთადაც გეგმავდა სტრატეგიას და მტკიცებულებების მოპოვების შესახებ საკითხებს.

2.6 ზ. პ.-ის განმარტებით, მას ქონდა საფუძველი იმისა, რომ განცხადება გაეკეთებინა აჭარის ტელევიზიის მეშვეობით, გარდა ამისა პ. შ.-ისა და ბ. ა.-ის ნათესაური კავშირი ბრალდებულმა მ.ღ-მ დაადასტურა და ასევე განმარტა, რომ ადკოკატი პ. შ. სწორედ ამ ნათესაური კავშირის გამოყენებას აპირებდა ბრალდებული მ.ღ-ს სასარგებლოდ. ამიტომ გაურკვეველია, როდის შეიზღუდა პ. შ.-ის აზრის გამოხატვის თავისუფლება, ან ადვოკატი პ. შ. რატომ ფიქრობს, რომ ის

ფაქტი რასაც თვითონ ადასტურებს და ასევე ბრალდებული მ.ღ არის ეთიკის ნორმების დარღვევა.

2.7 ადვოკატ ზ. პ.-ის განმარტებით, როდესაც ის შევიდა წინასწარი დაკავების იზოლატორში, მას იქ დახვდა „შეპარული“ ადვოკატი პ. შ.. „შეპარული“ იმიტომ რომ, ოჯახი და მეგობარი წინააღმდეგნი იქვნენ ადვოკატ პ. შ.-ის აყვანაზე. ზ. პ.-ის განმარტებით, ადვოკატმა პ. შ.-მ არ მისცა შესაძლებლობა ბრალდებულ მ.ღ.-ს მარტო გასაუბრებოდა. პ. შ. ამბობდა, რომ ბრალდებული მ.ღ.-ს ოჯახმა აიყვანა.

2.8 ადვოკატ ზ. პ.-ის განმარტებით, ის ვერ იმუშავებდა ადვოკატ პ. შ.-სთან ერთად, რადგან ადვოკატ პ. შ.-ის არამყარი პოზიციები ყველასთვის იყო ცნობილი და მას ადვოკატ პ. შ.-სთან მიმართებით არაეთიკური მოქმედება არ განუხორციელებია.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი ზ. პ. არის სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის'' წევრი /სიითი №/, სპეციალიზაცია - საერთო სამართალი. ადვოკატის სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ წევრობა არ არის შეჩერებული, ასევე ადვოკატი არ არის გარიცხული საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან.

3.2 ადვოკატმა პ. შ.-ს ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა 2017 წლის 25 მაისს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2017 წელს. ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 5 წელი.

4. შემაჯამებელი დასკვნა:

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ზ. პ.-ის მიმართ ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, უნდა შეწყდეს დისციპლინური წარმოება.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 2018 წლის 05 ივნისს საჩივრის ავტორმა ადვოკატმა პ. შ.-მ განცხადებით მომართა ეთიკის კომისიას, სადაც მიუთითა, რომ მის მიერ შემოტანილ საჩივართან დაკავშირებით ადვოკატ ზ. პ.-სთან მიმართებით აღარ აქვს პრეტენზია და სურს, კომისიამ შეწყვიტოს საქმის წარმოება.

5.2 ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის თანახმად: ,, დისციპლინური კოლეგია იღებს გადაწყვეტილებას დისციპლინური წარმოების შეწყვეტის შესახებ იმ შემთხვევაში, თუ საჩივრის ავტორი, უარს იტყვის საჩივარზე (მიმართვაზე)“. შესაბამისად, ვინაიდან საჩივრის ავტორმა უარი თქვა საჩივარზე, ადვოკატ პ. შ.-ის მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური საქმის წარმოება.

III სარეზოლუციო ნაწილი

ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების მე-4 მუხლის მე-5-6 პუნქტებით, მე-19–მე-20 მუხლებით, 22-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტით; 31-ე მუხლით, მე–40 მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე N041/17 ადვოკატ ზ. პ.-ის მიმართ /სიითი №/ შეწყდეს დისციპლინური წარმოება.

2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.

3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ინგა სეხნიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /კონსტანტინე გელაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ირაკლი კორძახია/